ხელშეკრულება N02/505/199
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
CPV 50500000 - ტუმბოების, სარქველების, ონკანებისა და ლითონის კონტეინერების, ასევე, მანქანა დანადგარების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

ქ.თბილისი 17 სექტემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ **საქართველოს შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის **გიგა ნიკოლეიშვილის** სახით და მეორე მხრივ **ფ/პ გიორგი კალანდაძე (პ/ნ 18001069449)**, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტისა და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის (სამმართველო) №2102236 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი
1.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეაკეთოს 2 (ორი) ცალი სათიბი აპარატი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

N	დასახელება	სულ თანხა
1	2 (ორი) ცალი სათიბი აპარატის შეკეთება	143.75

2. ხელშეკრულების ღირებულება
2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **143.75** (ას ორმოცდასამი ლარი და სამოცდათხუთმეტი თეთრი) ლარს.
2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3.საშემოსავლო გადასახადის გადახდას სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამის ანგარიშზე უზრუნველყოფს შემსყიდველი ხელშეკრულების ჯამური ღირებულებიდან (20%).

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები
3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
3.3. ანგარიშსწორება ხორციელდება შსს სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტის **2018 წლის საკუთარი სახსრებით.**

4.მიღება–ჩაბარების წესი
4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირს წარმოადგენს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი.
4.2. მომსახურება ჩაითვლება შესრულებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.მომსახურების გაწევის ადგილი, ვადა და გარანტია
5.1. მომსახურების შესრულების ადგილია: ქ.თბილისი.
5.2. გასაწევი მომსახურება უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის **22** სექტემბრამდე.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი
6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება, რომელსაც განახორციელებს შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციის უფლებამოსილი პირი.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის
(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)
7.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.
7.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.
7.5 შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა (შემსყიდველი შეატყობინებს წერილით ჯარიმის დაკისრების თაობაზე).
7.6 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.
8.5.ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.
8.6.შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:
ა)მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სამჯერ დარღვევის შემთხვევაში;
ბ)თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი.
8.7. ამ მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტებში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)
მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთეშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლოვბის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება მოქმედებს 2018 წლის **25 ოქტომბრის** ჩათვლით.

11.2 ხელშეკრულება შესრულებულია 2 (ორი) ეგზემპლიარად (ერთი ეგზემპლიარი "შემსყიდველს" ერთი "მიმწოდებელს")

12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11 ს/კ №211350928 **თავმჯდომარე** **გიგა ნიკოლეიშვილი**	**ფ/პ გიორგი კალანდაძე** პ/ნ 18001069449 მის: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის ქუჩა №117 ს/ს "თიბისი ბანკი" ა/ა GE27TB7779945061100008 ბანკის კოდი - TBCBGE22 **გიორგი კალანდაძე**

<u>ხელშეკრულება გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად</u>

ხელმოწერით ვადასტურებთ, რომ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით

საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის

სამმართველოს უფროსი

რუბენ შამუგია ----------

იურიდიული სამსახურის უფროსი

დავით მარშავა ----------

შესყიდვების განყოფილების უფროსი

ნინო ქიტუაშვილი ----------

შემსრულებელი:

ცირა სარია ----------